აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანება №200/ძ

ქ. თბილისი „07" 07 2016 წ.

დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' აფხაზეთის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის #33 დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ'' ქვეპუნქტის, „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დაწესებისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე" აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის #12 დადგენილებით დამტკიცებული „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესის" მე-4 მუხლისა და „ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის გაცემის წესის" მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2016 წლის 11 ივლისიდან დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მისანიჭებლად.
2. სტიპენდიის მისანიჭებლად განაცხადების სამინისტროში რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 2016 წლის 12 ივლისიდან 2016 წლის 26 ივლისის ჩათვლით.
3. სტიპენდიის მისანიჭებლად სტუდენტების წარდგენის უფლება აქვთ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.
4. სტიპენდიის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია 2016 წლის 10 აგვისტომდე.
5. დაევალოს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსს ნინო ლობჟანიძეს უზრუნველყოს ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა კანონით დადგენილი წესით.

6. დაევალოს მინისტრის აპარატს უზრუნველყოს ბრძანების სამინისტროს ვებგვერდზე (www.meca.gov.ge) განთავსება.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართზე - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საფუძველი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსის ნინო ლობჟანიძის სამსახურებრივი ბარათი (794103. 28.06.2016.).

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი — მანანა ქვაჩახია